დანართი 1

განახლება: ბრ.#07/01-02, 20/01/2025

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამაგისტრო სწავლების
დებულება

თბილისი
2025

შინაარსი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო 3
მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები 3
მუხლი 3. სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება 3
მუხლი 4. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა 3
მუხლი 5. მიმღები კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება 5
მუხლი 6. სამაგისტრო პროგრამებზე სწავლების ენა 6
მუხლი 7. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობა 6
მუხლი 8. რეგისტრაცია 7
მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება 7
მუხლი 10. დისციპლინური წესები 7
მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის რეგისტრაცია 7
მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის განსაზღვრა 7
მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მახასიათებლები 7
მუხლი 14. სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური მახასიათებლები 8
მუხლი 15. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება 8
მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა 9
მუხლი 17. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი 10
მუხლი 18. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი 10
მუხლი 19. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი 10
მუხლი 20. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია 11
მუხლი 21. კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ფუნქციები 12
მუხლი 22. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა 12
მუხლი 23. კვლევითი კომპონენტის შეფასების შედეგების გასაჩივრება 12
მუხლი 24. კვალიფიკაციის მინიჭება 13
მუხლი 25. დასკვნითი დებულებები 13
დანართი №1 15
დანართი №2 – №6 17

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვასთან, სასწავლო პროცესის წარმართვასთან, შეფასებასთან და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

1.2. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისთვის.

1.3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს ან 60 კრედიტს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

2.1.**პროგრამის დარგობრივი ჯგუფი** – უნივერსიტეტის შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის ჯგუფი, რომელიც თავისი წევრებისაგან ირჩევს თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით. ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ჯგუფის ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება.

მუხლი 3. სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება

3.1. სამაგისტრო პროგრამა მტკიცდება რექტორის ბრძანების საფუძველზე და ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი შიდანორმატიურლი დოკუმენტებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.2. სამაგისტრო პროგრამის ჯგუფის გახსნისთვის (სწავლების ფაქტობრივი განხორციელებისთვის) საჭიროა, რომ პროგრამაზე ჩაირიცხოს სულ მცირე 15 (თხუთმეტი) სტუდენტი. სკოლის საბჭომ გამონაკლისი სახით შესაძლოა განსაზღვროს განსხვავებული რაოდენობაც, რისი დამტკიცების მიზნითაც უნივერსიტეტის დებულებით დადგენილი წესით მიმართავს უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს.

3.3. სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოწესრიგებულია „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით“.

3.4. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, სკოლების მხრიდან შესაძლებელია შემუშავდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების განსხვავებული წესი, რომლის შემთხვევაშიც სტუდენტისთვის სახელმძღვანელო სპეციალური ნორმების მომწესრიგებელი დებულება გახდება.

მუხლი 4. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა

4.1. აპლიკანტი უფლებამოსილია ჩაირიცხოს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად – საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებისა (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე) და უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების გავლის გზით.

4.2. სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად აპლიკანტი აბარებს გამოცდას უცხო ენაში (წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში), გადის გასაუბრებას სამაგისტრო

პროგრამაზე მიმღებ კომისიასთან ან/და აბარებს შიდა დარგობრივ გამოცდას. სამაგისტრო პროგრამაზე მიმღები კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება სკოლის დეკანის წარდგინებით და მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

4.3. ჩარიცხვის წესი საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების საფუძველზე:

4.3.1. საქართველოს მოქალაქე, რომელიც წარმოადგენს ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს, წარმატებით ჩააბარებს ერთიან სამაგისტრო გამოცდას და გაივლის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ პროცედურებს, მოიპოვებს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას;

4.3.2. უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად, აპლიკანტმა განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინოს 4.3.2.1. პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის, მისაღები პირობებისა და ვადების თაობაზე ინფორმაციას აქვეყნებს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ხოლო საერთაშორისო სტუდენტებისთვის დამატებით – საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი;

4.3.2.1. აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციებია:

ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (პასპორტი) და მისი ასლი;

ბ. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი;

გ. 2 ფოტოსურათი ზომით 3X4 (ბეჭდური და ციფრული ვერსია CD-ზე);

დ. მიწერის მოწმობის ან სამხედრო ბილეთის ასლი (სამხედრო ვალდებულისათვის);

ე. საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის დედანი გამოცდების ეროვნული ცენტრიდან (მისი არსებობის შემთხვევაში), ან აპლიკანტის მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ქულების ამონაბეჭდი გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტიდან (www.naec.ge);

ვ. სამოტივაციო წერილი პროგრამაზე სწავლის თაობაზე;

ზ. რეზიუმე - CV (პროგრამის განხორციელების ენაზე);

თ. ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენისას გამონაკლისია წინამდებარე დებულების 4.5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევები;

ი. შევსებული ფორმა 1 (პირადი მონაცემების შესახებ).

4.3.2.2. საერთაშორისო სტუდენტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება „საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის წესის“ შესაბამისად.

4.3.2.3. ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტის განცხადება არ მიიღება.

4.3.3. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ აპლიკანტი აბარებს წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ გამოცდებს,

4.3.4. აპლიკანტი გასაუბრებას გაივლის სამაგისტრო პროგრამის მიმღებ კომისიასთან. აპლიკანტის შეფასება მოხდება მიმღები კომისიის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (დანართი №1-ის შესაბამისად). შესაბამისი დარგის სპეციფიკაციის გათვალისწინებით კომისიას უფლება აქვს აპლიკანტი შეაფასოს განსხვავებული კრიტერიუმებითაც.

4.3.5. აპლიკანტის ჩარიცხვის შესახებ მიიღება გადაწყვეტილება, თუ კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობის საშუალო შეფასებით დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. თანაბარი საბოლოო ჯამური ქულის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ კანდიდატებს, რომელთაც

აქვთ უფრო მაღალი შეფასება: საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები; გასაუბრების შედეგები; შიდა დარგობრივ გამოცდის შედეგები.

4.3.6. მიმღები კომისიის მიერ შერჩეული აპლიკანტების სია წარედგინება რექტორს სამაგისტრო პროგრამაზე მათი ჩარიცხვის მიზნით.

4.3.7. რექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

4.3.8 მაგისტრანტს და უნივერსიტეტს შორის იდება ხელშეკრულება, სადაც განისაზღვრება მათი უფლება–მოვალეობები.

4.3.9. იმ შემთხვევაში, თუ რექტორის ბრძანებით განსაზღვრული მაგისტრანტი უნივერსტეტის მიერ დადგენილ ვადაში ვერ უზრუნველყოფს სამაგისტრო სწავლების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, მაშინ უნივერსტეტს უფლება აქვს შესაბამისი ბრძანება ან ბრძანების ნაწილი გამოაცხადოს ძალადაკარგულად.

4.4. ჩარიცხვის წესი საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე:

4.4.1. უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე, საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე ჩაირიცხება პირი, რომელიც დაადასტურებს პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობას ან/და გაივლის გასაუბრებას და დააკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.5. ორივე კატეგორიის განმცხადებლები:

4.5.1. განმცხადებლები, რომლებსაც აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი თავისუფლდებიან უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან.

4.5.2. უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება განმცხადებელი, თუ მას დამთავრებული აქვს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ან დიპლომის დანართით უდასტურდება ინგლისური ენის B2 დონის წარმატებით გავლა.

4.6. პროგრამაზე მისაღები გამოცდების ტექნიკურ ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახური.

4.7. საქართველოს ტერიტორიაზე არმყოფი კანდიდატებისთვის, სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გასაუბრების/გამოცდის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ.

4.8. გასაუბრება და შიდა გამოცდა ტარდება პროგრამის განხორციელების ენაზე.

მუხლი 5. მიმღები კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

5.1. აპლიკანტი უფლებამოსილია სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მიმღები კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილება გაცნობიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში გაასაჩივროს შესაბამისი სკოლის დეკანთან. გასაჩივრება ხორციელდება წერილობითი განცხადების გზით.

5.2. აპლიკანტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს გასაჩივრების საფუძველი და წარმოადგინოს შესაბამისი წერილობითი არგუმენტაცია.

5.3. განცხადებით აპლიკანტი უფლებამოსილია მის მიერ მითითებული არგუმენტაციის ფარგლებში მოითხოვოს მიმღები კომისიის გადაწყვეტილების დასაბუთება.

5.4. მიმღები კომისიის გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნის შემთხვევაში სკოლის დეკანი განცხადებას განსახილველად უგზავნის თავდაპირველ მიმღებ კომისიას.

5.5. მიმღები კომისია ვალდებულია აპლიკანტის განცხადება განიხილოს არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

5.6. განხილვის პროცესში კომისია ვალდებულია გაეცნოს აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და მოთხოვნის შემთხვევაში მოამზადოს წერილობითი დასაბუთება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.
5.7. იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი არ ეთანხმება მიმღები კომისიის წერილობით დასაბუთებას, იგი უფლებამოსილია წარმოდგენილი დასაბუთება გაასაჩივროს სააპელაციო მიმღებ კომისიაში, გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთების გაცნობიდან 3 (სამი) დღის ვადაში.
5.8. დასაბუთებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, სკოლის დეკანის წარდგინებითა და რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო მიმღები კომისია, რომელიც შედგება სულ მცირე 3 (სამი) შესაბამისი დარგის სპეციალისტისაგან/წევრისაგან. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისიის წევრს განსახილველი საკითხის მიმართ არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი, მათ შორის იგი არ უნდა იყოს თავდაპირველი მიმღები კომისიის წევრი.
5.9. საჩივრის განხილვის ზოგადი წესები:
5.9.1. სააპელაციო მიმღებ კომისიას ეძლევა 3 (სამი) სამუშაო დღე შეფასების განხორციელებისთვის.
5.9.2. შეფასების პროცესში სააპელაციო მიმღები კომისია ვალდებულია გაეცნოს აპლიკანტის განცხადებას და მიმღები კომისიის შეფასება/არგუმენტაციას. სააპელაციო მიმღებ კომისიას უფლება აქვს პირველადი გადაწყვეტილება დატოვოს ძალაში ან მიიღოს ახალი გადაწყვეტილება აპლიკანტის ჩარიცხვის შესახებ.
5.9.3. სააპელაციო მიმღები კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
5.9.4. სააპელაციო მიმღები კომისია გადაწყვეტილებას 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

მუხლი 6. სამაგისტრო პროგრამებზე სწავლების ენა
6.1. სამაგისტრო პროგრამებზე სწავლების ენა არის ქართული, ხოლო ინგლისურენოვან პროგრამებზე - ინგლისური.

მუხლი 7. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობა
7.1. სწავლების ხანგრძლივობა მინიმუმ 120 კრედიტიან სამაგისტრო პროგრამაზე არის 4 სემესტრი; 60 კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში 2 სემესტრი.
7.2. სტუდენტები, რომლებიც ვერ დაამთავრებენ სამაგისტრო პროგრამას 4 სემესტრში (60 კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში – 2 სემესტრში), უფლებამოსილნი არიან გააგრძელონ სწავლა თვითდაფინანსების გზით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ – და „საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის გადახდის წესის“ – მოთხოვნების შესაბამისად.
7.3. მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის ეძლევა 15 კალენდარული კვირა. აღნიშნული ვადის ათვლა იწყება სამაგისტრო ნაშრომის სათაურის და ხელმძღვანელის დამტკიცებიდან ნაშრომის სათაურის და/ან ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის შემთხვევაში, 15 კვირის ათვლა იწყება პირველი დამტკიცების თარიღიდან.

მუხლი 8. რეგისტრაცია

8.1. სასწავლო და კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციის პროცესი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მიერ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად ხორციელდება.

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

9.1. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეფასებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი (გარდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა) განისაზღვრება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

მუხლი 10. დისციპლინური წესები

10.1. დისციპლინარული საკითხები განისაზღვრება „სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის რეგისტრაცია

11.1. სამაგისტრო ნაშრომზე რეგისტრაციისთვის მოთხოვნები/დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით.

მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის განსაზღვრა

12.1. სამაგისტრო ნაშრომის სათაური და ნაშრომის ხელმძღვანელის ვინაობა მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ, სემესტრის დასაწყისში. ნაშრომის სათაურის შეცვლა/ფორმულირების შეცვლა შესაძლებელია აკადემიური წერის ცენტრისთვის მის ჩაბარებამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე. სათაურის შეცვლის/ფორმულირების შეცვლის შემთხვევაში, ხელახალი დამტკიცება ხდება ამ მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

12.2. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტის ან ნაშრომის/პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით, სკოლის საბჭოს მიერ თანახელმძღვანელის არჩევა ხდება ხელმძღვანელთან ერთად ან ნაშრომის დამტკიცებიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში.

12.3. სამაგისტრო ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება შემდეგი პროცედურების შესაბამისად:

12.3.1. პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის დარგობრივ ჯგუფთან შეთანხმებით ამზადებს შესაბამისი შესაძლო ხელმძღვანელების სიას მათი კვლევის სფეროს მითითებით;

12.3.2. სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული სიის ხელმისაწვდომობას სამაგისტრო ნაშრომზე რეგისტრირებული სტუდენტებისთვის;

12.3.3. სტუდენტი (ხელმძღვანელთან/ თანახელმძღვანელთან შეთანხმებით) იღებს გადაწყვეტილებას და მიმართავს პროგრამის ხელმძღვანელს, ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის სათაურის არჩევის შესახებ;

12.3.4. პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის დარგობრივ ჯგუფთან ერთად განიხილავს ზემოაღნიშნულ სიას;

12.3.5. სამაგისტრო ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მტკიცდება სკოლის საბჭოზე.

მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მახასიათებლები

13.1. სამაგისტრო ნაშრომი არის სამეცნიერო კვლევის შედეგი, რომელიც ხორციელდება ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ზედამხედველობით.

13.2. სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

13.2.1. მიმართული უნდა იყოს სფეროს შესაბამის საკითხებზე;
13.2.2. სტუდენტმა უნდა წარმოაჩინოს საკითხის პრაქტიკული და/ან თეორიული შედეგები;
13.2.3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყფილებდეს და უნდა შეესაბამებოდეს კვლევის ეთიკურ ნორმებს / სტანდარტებს (კვლევა ეთიკურ ნორმებს შეესაბამება თუ იგი არ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ მიზნებს და პრინციპებს; არ ლახავს ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს; კვლევის არცერთი ნაწილი არ შეიცავს სხვათა ღირსებისა თუ რეპუტაციის შემლახავ ინფორმაციას; კვლევის ფარგლებში არ გამოიყენება იმგვარი მეთოდები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მესამე პირთა უფლებების დარღვევა ან/ და შეცდომაში შეყვანა; კვლევა წარმოადგენს უშუალოდ სტუდენტის კვლევითი საქმიანობის შედეგს; კვლევა შეესაბამება კონკრეტულ დარგში კვლევის განხორციელების საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს. წინამდებარე ჩამონათვალი არ არის ამომწურავი).

მუხლი 14. სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური მახასიათებლები

14.1. ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სრულდება ქართულ ენაზე (მაქსიმუმ 1 გვერდიანი რეზიუმე ინგლისურ ენაზე), ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სრულდება ინგლისურ ენაზე (მაქსიმუმ 1 გვერდიანი რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე).
14.2. ტექნიკური მოთხოვნებია: მოცულობა – 50-90 გვ., შრიფტი – Sylfaen (ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომისთვის) / Times New Roman (ინგლისურ ენაზე შესრულებული ნაშრომისთვის), შრიფტის ზომა – 12, სტრიქონებს შორის დაშორება – 1.5, მარცხენა მინდორი – 3 სმ., მარჯვენა მინდორი 1.5 სმ., ზედა და ქვედა მინდვრები – 2.5 სმ.
14.3. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების დეტალური აღწერილობა განსაზღვრულია – „სამაგისტრო ნაშრომისა და დისერტაციის მომზადების გზამკვლევით“.
14.4. შესაბამისი სკოლის პროგრამით შესაძლოა განსაზღვრული იყოს წინამდებარე მუხლისგან განსხვავებული წესები. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება კონკრეტული სკოლის მიერ დადგენილი სპეციალური წესები.

მუხლი 15. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

15.1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება მთლიანობაში, ერთიანად დასკვნითი შეფასებით, რომელიც შედგება ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის შეფასებებისაგან.
15.2. ხელმძღვანელი აფასებს 30 ქულით, რეცენზენტი 33 ქულით, კომისია 37 ქულით. დასკვნითი შეფასებისთვის, აღნიშნული შეფასებები ჯამდება.
15.3. დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულა არის 100.
15.4. ხელმძღვანელის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია „სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ხელმძღვანელისთვის (ქულის გარეშე)“ და „სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ხელმძღვანელისთვის (ქულობრივი)“ ფორმებით. რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია „სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ფორმები რეცენზენტისთვის (ქულის გარეშე)“ და „სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ფორმები რეცენზენტისთვის (ქულობრივი)“ ფორმებით კომისიის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია „სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები საჯარო დაცვისათვის“ ფორმით ***(დანართი №2 – №6-ის შესაბამისად,*** თუმცა შესაბამისი დარგის სპეციფიკაციის

გათვალისწინებით კომისიას უფლება აქვს აპლიკანტი შეაფასოს განსხვავებული კრიტერიუმებითაც).
15.5. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება 14.6 პუნქტით დადგენილი სისტემით.
15.6. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა.
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა.
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა.
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა.
ა. ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
15.7. თუ მაგისტრანტი მიიღებს 41-50 ქულას (FX) მას უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
15.8. თუ მაგისტრანტი მიიღებს 40 ქულას ან ნაკლებს (F), იგი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
15.9. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს დასკვნით შეფასებაში არანაკლებ 51 ქულის მიღება. სტუდენტის მიერ 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში, მას ეძლევა საშუალება გააუმჯობესოს სამაგისტრო ნაშრომი და წარადგინოს დასაცავად მომდევნო სემესტრში, ხოლო 41-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
15.10. თუ მაგისტრანტი არ გამოცხადდა საჯარო დაცვაზე საპატიო მიზეზის გამო, (საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახური იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას), მაგისტრანტს იმავე სემესტრში ენიშნება საჯარო დაცვა.
15.11. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა

16.1. სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარადგინოს მე-15 კალენდარულ კვირაში. აღნიშნული პერიოდის ათვლა იწყება ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის პირველად დამტკიცების თარიღიდან მიუხედავად იმისა, მოგვიანებით განხორციელდა თუ არა რაიმე ცვლილება ნაშრომის სათაურის/ხელმძღვანელის მიმართ.
16.2. სტუდენტი აკადემიური წერის ცენტრს წარუდგენს განცხადებას ნაშრომის დასრულებისა და დაცვაზე დაშვების შესახებ. სტუდენტი ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას აგზავნის აკადემიური წერის ცენტრის ოფიციალურ ელ-ფოსტაზე.
16.3. აკადემიური წერის ცენტრი პლაგიატის დამდგენი ანტიპლაგიარიზმის სპეციალური ელექტრონული პროგრამის (პროგრამა, რომელსაც უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მიზნით) საშუალებითა და ნაშრომის ხელმძღვანელის ჩართულობით განსაზღვრავს პლაგიატის არსებობა/არარსებობას. ნაშრომში შესაბამისი დოკუმენტით დამოწმებული პირდაპირი ციტირების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს

მთლიანი ნაშრომის 15%-ს; დაუმოწმებელი ტექსტის არსებობა ნაშრომში არ დაიშვება (0%); თუ შემოწმებისას გამოვლინდა 15%-ზე მეტი ტექსტის მსგავსების ფაქტი, აღნიშნული გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომის ხელმძღვანელის ანგარიშის საფუძველზე სტუდენტმა 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში უნდა აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი და გადაუგზავნოს აკადემიური წერის ცენტრს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევისას, საკითხი დარეგულირდება უნივერსიტეტში მოქმედი „აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის“ შესაბამისად;

16.4. პლაგიატის შემოწმების შემდეგ, აკადემიური წერის ცენტრს წარედგინება სამაგისტრო ნაშრომის ორი ეგზემპლარი (ხელმოწერილი სტუდენტის მიერ) მატერიალური ფორმით და ერთი ეგზემპლარი ელექტრონული ფორმით (CD დისკზე). აკადემიური წერის ცენტრი ნაშრომს, ტექსტის დამთხვევის პროცენტულ მაჩვენებელთან ერთად (მიუხედავად მაჩვენებლის რაოდენობისა), უგზავნის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს შესაფასებლად.

მუხლი 17. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

17.1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლება აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც შესაბამის დარგში უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 (ერთი) პუბლიკაცია.

17.2. მაგისტრანტი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელმძღვანელის შეცვლა სამაგისტრო ნაშრომის სათაურის დამტკიცებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

17.3. ხელმძღვანელს ეძლევა 5 (ხუთი) კალენდარული დღე ნაშრომის შესაფასებლად.

17.4. ხელმძღვანელი წერს დასკვნას და აფასებს ნაშრომს ქულობრივად. დასკვნაში ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ნაშრომის ფორმატს და სტილს, მის შესაბამისობას „სამაგისტრო ნაშრომისა და დისერტაციის მომზადების გზამკვლევთან“.

17.5. ხელმძღვანელის დასკვნა ეგზავნება სტუდენტს უკუკავშირის მიზნებისთვის.

17.6. სტუდენტი დაიშვება დაცვაზე თუ მან მიიღო ხელმძღვანელის შეფასების თითოეული კომპონენტიდან ფორმით განსაზღვრული სულ მცირე ქულათა ოდენობა (ჯამში მინიმუმ 7 ქულა).

მუხლი 18. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი

18.1. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი შესაძლებელია იყოს შესაბამისი ან სხვა დარგის სპეციალისტი სამაგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე.

18.2. სტუდენტს უფლება აქვს შეცვალოს მისი თანახელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის დამტკიცებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში, იმ შემთხვევაში, თუ თანახელმძღვანელი დაინიშნა სემესტრის დასაწყისში.

18.3. თანახელმძღვანელს ეძლევა 5 (ხუთი) კალენდარული დღე შეფასების გასაკეთებლად.

18.4. თანახელმძღვანელი ნაშრომის შეფასებისას ყურადღებას აქცევს ნაშრომის ფორმატსა და სტილს, მის შესაბამისობას წინამდებარე დებულებასთან და „სამაგისტრო ნაშრომისა და დისერტაციის მომზადების გზამკვლევთან“.

მუხლი 19. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი

19.1. რეცენზენტი შესაძლოა იყოს შიდა – უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალი ან გარე კადრი (ადგილობრივი ან საერთაშორისო). რეცენზენტის დანიშვნისას, პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო რეცენზენტის დანიშვნას.

19.2. რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი. შიდა რეცენზენტის შემთხვევაში, აკადემიური ხარისხი შესაძლოა ჰქონდეს შესაბამის დარგში ან სხვა დარგში, მაგრამ ეკავოს აკადემიური პოზიცია (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი) შესაბამის დარგში ან უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში შესაბამის დარგში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 (ერთი) პუბლიკაცია ინდექსირებად ჟურნალებში ან საერთაშორისო კონფერენციის მასალებში. გარე რეცენზენტი უნდა იყოს ლექტორი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან დასაქმებული კერძო ან სახელმწიფო სექტორში შესაბამისი მიმართულებით.

19.3. რეცენზენტს ნიშნავს სკოლის საბჭო, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგენის საფუძველზე პროგრამის დარგობრივ ჯგუფთან შეთანხმებით.

19.4. რეცენზენტის დანიშვნა ხდება შემდეგი პროცედურით:

19.4.1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს პოტენციური რეცენზენტების რეზიუმეებს (სულ მცირე ერთი შიდა და ერთი გარე რეცენზენტი).

19.4.2. პროგრამის ხელმძღვანელი აფასებს წარმოდგენილ კანდიდატებს მათი კვალიფიკაციის მიხედვით პროგრამის დარგობრივ ჯგუფთან კონსულტაციის საფუძველზე.

19.4.3. რეცენზენტის კანდიდატურა წარედგინება სკოლის საბჭოს დასამტკიცებლად.

19.5. რეცენზენტის დანიშვნის შემდეგ, მის მიერ ნაშრომის შეფასების პროცესის კოორდინირებას ახდენს აკადემიური წერის ცენტრი.

19.6. რეცენზენტს ეძლევა 10 (ათი) კალენდარული დღე ნაშრომის შესაფასებლად. საერთაშორისო რეცენზენტის შემთხვევაში, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული ვადა შესაძლოა გაიზარდოს ოთხ კვირამდე.

19.7. რეცენზენტი ნაშრომს აფასებს ქულობრივად, ასევე წერს რეკომენდაციებს და/ან შენიშვნებს.

19.8. რეცენზენტის დასკვნა ეგზავნება სტუდენტს უკუკავშირის მიზნებისთვის.

19.9. რეცენზენტის მიერ სტუდენტის შეფასება ხდება საჯარო დაცვაზე რეცენზენტისთვის განკუთვნილი ქულობრივი შეფასების ფორმით.

მუხლი 20. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია

20.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება სკოლის საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის წინაშე. კომისიის წევრები ინიშნება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე (კომისიის ყველა წევრი უნდა იყოს აკადემიური (გარდა ასისტენტისა) ან მოწვეული პერსონალი). შესაძლებელია კომისიის წევრი არ იყოს უნივერსიტეტის პერსონალი.

20.2. კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს მინიმუმ 2 (ორი) წარმომადგენელი. აკადემიური წერის ცენტრის წარმომადგენელი უფლებამოსილია დაესწროს ნაშრომის დაცვას სათათბირო ხმის უფლებით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი უფლებამოსილია დაესწროს დაცვას, მაგრამ არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი.

20.3. კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ხმათა უბრალო უმრავლესობით. კომისიის მდივანი არის აკადემიური წერის ცენტრის წარმომადგენელი.

20.4. დაცვის ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე, მდივანი და შეფასებაში მონაწილე ყველა დამსწრე წევრი.

20.5. ხელმოწერილი ოქმის შენახვას და დაარქივებას უზრუნველყოფს აკადემიური წერის ცენტრი.

მუხლი 21. კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ფუნქციები

21.1. კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებია:

21.1.1. დაცვის პროცედურის წარმართვა;

21.1.2. კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო ქულის გამოყვანა.

21.2. კომისიის მდივნის ფუნქციებია:

21.2.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვისთვის და დაცვის შემდგომ ყველა საჭირო პროცედურული და საორგანიზაციო მოქმედებების განხორციელება (მათ შორის იმ სტუდენტთა სიის მომზადება, რომლებმაც დაიცვეს სამაგისტრო ნაშრომი (სტუდენტთა სახელი, გვარის, თემის სათაურის, პროგრამის, ნაშრომის ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის, დაცვის თარიღისა და სხვა საკითხების მითითებით) და იმ სტუდენტთა სიის მომზადება, რომლებმაც ვერ დაიცვეს სამაგისტრო ნაშრომი, მიზეზისა და კომისიის შესაბამისი არგუმენტაციის მითითებით) და სკოლის საბჭოსთვის წარდგენა.

მუხლი 22. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა

22.1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესის ორგანიზება (მათ შორის დროისა და ადგილის გამოცხადება) ხორციელდება აკადემიური წერის ცენტრის მიერ. დაცვას უნდა ესწრებოდეს კომისიის წევრები (სულ მცირე დარგის 2 სპეციალისტი) და რეცენზენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვა გადაიდება არაუმეტეს 1 (ერთი) კვირის ვადით.

22.2. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მიმდინარეობს ზეპირად და საჯაროდ, პროგრამის განხორციელების ენაზე.

22.3. პრეზენტაციისთვის გამოყოფილი დრო არ უნდა აჭარბებდეს 20 (ოცი) წუთს. სტუდენტის პრეზენტაციის შემდეგ კომისიის წევრები უფლებამოსილები არიან მაგისტრანტს დაუსვან შეკითხვები.

22.4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, სტუდენტის პრეზენტაციის შემდეგ საჯაროვდება ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დასკვნები. სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია გამოხატოს ხელმძღვანელისა და/ან რეცენზენტის დასკვნაში მითითებულ საკითხებზე.

მუხლი 23. კვლევითი კომპონენტის შეფასების შედეგების გასაჩივრება

23.1. სტუდენტი უფლებამოსილია კვლევითი კომპონენტის შეფასება შედეგის გაცნობიდან 4 (ოთხი) კალენდარული დღის ვადაში გაასაჩივროს შესაბამისი სკოლისთვის განცხადებით მიმართვის გზით.

23.2. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს კონკრეტული დასაბუთება / გარემოებები და წარმოადგინოს შესაბამისი არგუმენტაცია.

23.3. განცხადებით სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს:

ა) დაცვის რეგლამენტის გადახედვა ხელახალი შეფასების გარეშე

ბ) კვლევითი კომპონენტის ხელახალი შეფასება.

23.4. საჩივრის განხილვის წესი დაცვის რეგლამენტის გადახედვის მოთხოვნის შემთხვევაში:

23.4.1. დაცვის რეგლამენტის გადახედვის მოთხოვნის შემთხვევაში, სკოლის საბჭო უფლებამოსილია სტუდენტის საჩივარში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე,

მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის რეგლამენტის გადახედვა მოხდეს შემფასებლის ან 23.5. პუნქტის მიხედვით შექმნილი სააპელაციო კომისიის მიერ.
23.4.2. სააპელაციო კომისიის მიერ ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, კომპონენტი უბრუნდება სკოლის საბჭოს დასკვნასთან ერთად.
23.4.3. სკოლის საბჭო სააპელაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე უფლებამოსილია იმსჯელოს კვლევითი კომპონენტის ხელახალი შეფასების, შეფასების უცვლელად დატოვების, ან დაცვის ხელმეორედ ჩატარების შესახებ.
23.5. კვლევითი კომპონენტის ხელახალი შეფასების მოთხოვნის შემთხვევაში, სკოლის საბჭო ქმნის სააპელაციო კომისიას, რომელიც შედგება სულ მცირე 3 (სამი) წევრისაგან. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისიის წევრს ნაშრომის მიმართ არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი, მათ შორის იგი არ უნდა იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, ოპონენტი, ან თავდაპირველი დაცვის კომისიის წევრი.
23.6. საჩივრის განხილვის ზოგადი წესები:
23.6.1. კომისიას ეძლევა 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე შეფასების განხორციელებისთვის.
23.6.2. შეფასების პროცესში კომისია ვალდებულია გაეცნოს პირველადი შეფასების დასაბუთებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოისმინოს დაცვის კომისიის არგუმენტაცია. კომისიას უფლება აქვს შეფასება დატოვოს ძალაში ან დააყენოს შეფასების გადახედვის საჭიროების შუამდგომლობა.
23.6.3. შეფასების გადახედვის საჭიროების შემთხვევაში სკოლის საბჭო/სადისერტაციო საბჭო განიხილავს კომისიის შუამდგომლობას და მისი გაზიარების შემთხვევაში ინიშნება ხელახალი დაცვა. დაცვაზე შესაძლოა იგივე დარჩეს, შემცირდეს ან გაიზარდოს შეფასება. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. შუამდგომლობის არგაზიარების შემთხვევაში სკოლის საბჭო წარმოადგენს არგუმენტაციას.
23.6.4. სკოლის საბჭო გადაწყვეტილებას 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

მუხლი 24. კვალიფიკაციის მინიჭება
24.1. მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და პროგრამით განსაზღვრული ყველა კომპონენტის შესრულების შემდეგ, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
24.2. მაგისტრანტს აკადემიური ხარისხი შეიძლება არ მიენიჭოს ან გაუქმდეს უკვე მინიჭებული ხარისხი, ასევე მაგისტრანტის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი შეიძლება არ გაიცეს ან გაუქმდეს უკვე გაცემული დიპლომი, თუკი დადგინდება გაყალბებული კვლევის მონაცემების წარდგენის ან აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტი (პლაგიატი).
24.3. გადაწყვეტილება მაგისტრის აკადემიური ხარისხისა და დიპლომის გაუქმების, შესახებ მიიღება სკოლის საბჭოს მიერ.

მუხლი 25. დასკვნითი დებულებები
25.1. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, წესრიგდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა დებულებების შესაბამისად.
25.2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის რექტორის ბრძანების ძალაში შესვლისთანავე.

25.3. დებულებაში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება მტკიცდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.
25.4. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება სასწავლო დარგში პრორექტორის და კვლევით დარგში პრორექტორის მიერ.
25.5. წინამდებარე დებულებას განუყოფელი ნაწილის სახით დაერთვის 6 დანართი, რომელთა დანიშნულებასაც წარმოადგენს დებულებით გათვალისწინებული შეფასებების მოწესრიგება და კრიტერიუმების განსაზღვრა. თუმცა, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, სკოლების მხრიდან შესაძლებელია შემუშავდეს შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები.
25.6. წინამდებარე დებულებით დადგენილი წესები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი პროგრამით განსაზღვრულია საკითხის სპეციალური მოწესრიგება.

დანართი №1

IBSU

სამაგისტრო პროგრამის აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები/ Criteria for evaluating applicants for the master's program

თარიღი / Date: ……/……/……

<u>კომისიის წევრი/ Member of the commission</u>

სახელი, გვარი / Name, Surname:

……

<u>აპლიკანტის /Applicant</u>

სახელი, გვარი / Name, Surname: ……

<u>პროგრამის დასახელება/Name of the program</u>

……

#	**კრიტერიუმი**[1] **Criteria**	**ქულა** **Score**	**სავარაუდო გადაწყვეტილება** **Tentative decision**		
			კი **YES**	**არა** **NO**	**შესაძლებელია** **POSSIBLE**
1	ბაკალავრიატის აკადემიური მოსწრება - 15 ქულა Bachelor's academic performance - 15 points				
2	სამუშაო გამოცდილება - 10 ქულა Work experience - 10 points				
3	კვლევითი მუშაობის გამოცდილება/სტუდენტური კონფერენციები, სტატიები - 10 ქულა Experience of research work/student conferences, articles - 10 points				
4	სამოტივაციო წერილი - 20 ქულა Cover letter - 20 points				
5	დარგობრივი ცოდნის შეფასება - 20 ქულა Evaluation of branchmatk knowledge - 20 points				

[1] დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემუშავდეს შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები.

6	პრეზენტაბელურობა - 10 ქულა Presentability - 10 points				
7	დარგობრივი ინგლისური ენის ცოდნა - 15 ქულა Knowledge of sectoral English language - 15 points				
8	გასაუბრების ჯამური ქულა Total score of interview	100			

კომენტარები, რეკომენდაციები / Comments, Recommendations

.....

.....

.....

.....

_____

ხელმოწერა / Signature

დანართი №2 – №6

IBSU

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ხელმძღვანელისთვის (ქულის გარეშე)

ASSESSMENT CRITERIA OF MASTER'S THESIS FOR SUPERVISOR (WITHOUT POINTS)

თარიღი / Date: ……/……/……

<u>მაგისტრანტის</u> / <u>Master's Student's</u>

სახელი, გვარი / Name, Surname:

……

სამაგისტრო ნაშრომის სათაური/ Title of the Master's Thesis:

……

……

#	**კრიტერიუმი**[2] Criteria	**ვეთანხმები** **Agree**	**მეტწილად ვეთანხმები** **Substantially Agree**	**ნაწილობრივ ვეთანხმები** **Partially Agree**	**არ ვეთანხმები** **Disagree**
1	აქტუალობა Actuality	☐	☐	☐	☐
2	სიახლე Novelty/originality	☐	☐	☐	☐
3	კვლევის თეორიული ან/და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა Theoretical or/and Practical value of reasearch	☐	☐	☐	☐
4	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა Depth of the research material, uniqueness of the conclusions	☐	☐	☐	☐
5	ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის მეთოდები და შედეგების დამაჯერებლობა Structure, research methods and Convincing research results	☐	☐	☐	☐
6	უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ფორმატთან შესაბამისობა Relevance to the university format	☐	☐	☐	☐

[2] დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემუშავდეს შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები.

7	ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესში ჩართულობა Involvement in the thesis writing process in cooperation with supervisor	☐	☐	☐	☐

კომენტარები, რეკომენდაციები / Comments, Recommendations

.....

.....

.....

.....

ხელმძღვანელის სახელი, გვარი / Full Name of the Supervisor

_____

ხელმოწერა / Signature

IBSU

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ხელმძღვანელისთვის (ქულობრივი)

ASSESSMENT CRITERIA OF MASTER'S THESIS FOR SUPERVISOR (WITH POINTS)

თარიღი/Date:...../...../.....

<u>მაგისტრანტის / Master's Student's</u>

სახელი, გვარი / Name, Surname:

.....

სამაგისტრო ნაშრომის სათაური/ Title of the Master's Thesis:

.....

.....

.....

#	**კრიტერიუმი**[3] Criteria	**მაქსიმალური ქულა** (მინიმალური ქულა) Maximum Possible Assessment Points (Minimum Possible Assessment Point)	**მინიჭებული ქულა** Points Given
1	აქტუალობა Actuality	4 (1)	
2	სიახლე Novelty/originality	4 (1)	
3	კვლევის თეორიული ან/და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა Theoretical or/and Practical value of reasearch	5 (1)	
4	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა Depth of the research material, uniqueness of the conclusions	5 (1)	
5	ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის მეთოდები და შედეგების დამაჯერებლობა Structure, research methods and Convincing research results	6 (1)	
6	უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ფორმატთან შესაბამისობა Relevance to the university format	3 (1)	
7	ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესში ჩართულობა Involvement in the thesis writing process in cooperation with supervisor	3 (1)	

_____ **ჯამი** / Total	30 (7)	

გადაწყვეტილება / Decision:

ხელმძღვანელის სახელი, გვარი / Full Name of the Supervisor

_____

ხელმოწერა / Signature

_____

IBSU

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები რეცენზენტისთვის (ქულის გარეშე)

ASSESSMENT CRITERIA OF MASTER'S THESIS FOR REVIEWER (WITHOUT POINTS)

თარიღი / Date: ...../...../.....

<u>მაგისტრანტის / Master's Student's</u>

სახელი, გვარი / Name, Surname:

.....

სამაგისტრო ნაშრომის სათაური/ Title of the Master's Thesis:

.....

.....

#	**კრიტერიუმი** Criteria	ვეთანხმები Agree	მეტწილად ვეთანხმები Substantially Agree	ნაწილობრივ ვეთანხმები Partially Agree	არ ვეთანხმები Disagree
1	აქტუალობა Actuality	☐	☐	☐	☐
2	სიახლე Novelty/originality	☐	☐	☐	☐
3	კვლევის თეორიული ან/და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა Theoretical or/and Practical value of reasearch	☐	☐	☐	☐
4	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა Depth of the research material, uniqueness of the conclusions	☐	☐	☐	☐
5	ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის მეთოდები და შედეგების დამაჯერებლობა Structure, research methods and Convincing research results	☐	☐	☐	☐
6	უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ფორმატთან შესაბამისობა Relevance to the university format	☐	☐	☐	☐

კომენტარები, რეკომენდაციები / Comments, Recommendations

.....

.....

.....

.....

რეცენზენტის სახელი, გვარი / Full name of the Reviewer

_____

ხელმოწერა / Signature

_____

[3] დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემუშავდეს შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები რეცენზენტისთვის (ქულობრივი)
ASSESSMENT OF MASTER'S THESIS FOR REVIEWER (WITH POINTS)

თარიღი / Date: ...../...../.....

მაგისტრანტის / Master's Student's

სახელი, გვარი / Name, Surname: .....

სამაგისტრო ნაშრომის სათაური/ Title of the Master's Thesis:
.....
.....

#	**კრიტერიუმი**[4] Criteria	**მაქსიმალური ქულა** Maximum Possible Assessment Points	**მინიჭებული ქულა** Points Given
1	აქტუალობა Actuality	4	
2	სიახლე Novelty/originality	4	
3	კვლევის თეორიული ან/და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა Theoretical or/and Practical value of reasearch	5	
4	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა Depth of the research material, uniqueness of the conclusions	5	
5	ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის მეთოდები და შედეგების დამაჯერებლობა Structure, research methods and Convincing research results	6	
6	უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ფორმატთან შესაბამისობა Relevance to the university format	3	
	ჯამი / Total	27	

#	**სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასება** **Assessment of master's thesis presentation**	**მაქსიმალური ქულა** Maximum Possible Assessment Points	**მინიჭებული ქულა** Points Given
7	დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა During defense- giving adequate replies to the given questions, defending one's own position, knowledge of terminology.	6	
	ჯამი / Total	33	

გადაწყვეტილება / Decision:

[4] დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემუშავდეს შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები.

რეცენზენტის სახელი, გვარი / Full name of the Reviewer

_____

ხელმოწერა / Signature

_____

IBSU

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები საჯარო დაცვისთვის
ASSESSMENT CRITERIA of MASTER'S THESIS for PUBLIC DEFENSE

თარიღი / Date: ……/……/……

<u>**მაგისტრანტის** / Master's Student's</u>

სახელი, გვარი / Name, Surname:

……

სამაგისტრო ნაშრომის სათაური/ Title of the Master's Thesis:

……

	კრიტერიუმი[5] Criteria	**მაქსიმალური ქულა** Maximum Possible Assessment Points	**მინიჭებული ქულა** Points Given
1	აქტუალობა Actuality	4	
2	კვლევის თეორიული ან/და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა Theoretical or/and Practical value of reasearch	5	
3	სიახლე Novelty/originality	4	
4	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა Depth of the research material, uniqueness of the conclusions	5	
5	ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის მეთოდები და შედეგების დამაჯერებლობა Structure, research methods and Convincing research results	6	
6	დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა და ა.შ. დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა) Presenting material during defense (logical arguments, structure of the presentation, fluency, conveying main idea, etc. Quality of audio-visual aids)	7	
7	დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა During defense- giving adequate replies to the given questions, defending one's own position, knowledge of terminology.	6	
	ჯამი / Total	37	

კომისიის წევრის სახელი, გვარი / Full name of the Commission Member

[5] დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემუშავდეს შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები.

_____

ხელმოწერა / Signature

_____